შპს ჯორჯიან
კონსტრაკშენ კონტემპორარი
პეტრე ქავთარაძეს №14ა, XXII სართული,
თბილისი 0186
ს/კ 404870724

GEORGIAN CONTEMPORAY
CONSTRUCTION LTD.
P. Kavtaradze Str. #14a, XXII Floor,
Tbilisi 0186
I/C 404870724

19.07.2022 წ.

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

წარმოდგენილია ქ. თბილისში, პ. იბერის ქუჩაზე მდებარე ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კონსტრუქციული პროექტები. წარმოდგენილი კორექტირებული პროექტები წარმოადგენს უკვე შესწავლილი პროექტების კორექტირებულ ვარიანტს, რომელიც პირველადი პროექტებისგან განსხვავდება შემდეგი პარამეტრებით:

1. შეიცვალა სიმაღლე და ნიშნული -2 სართულის -6.00 -ის ნაცვლად გახდა -5.500;
2. შეიცვალა სიმაღლე და ნიშნული -1 სარულის -3.00-ის ნაცვლად გახდა -2.75;
3. შეიცვალა სვეტების განიკვეთის ზომები: -5.500 და -2.75 ნიშნულზე ნაცვლად 600X600მმ-ისა გახდა 600X800მმ; 0.000-დან +13.650-მდე ნაცვლად 500X500 მმ-ისა გახდა 500X700მმ;
4. შეიცვალა დიაფრაგმების მდებარეობა
5. შეიცვალა რ-ბ რიგელების გეომეტრიული ზომები: 500X500 მმ -ის ნაცვლად 500X400 მმ (hXb).

<u>დასკვნა:</u>

საექსპერტო შეფასებისას შემოწმებულ იქნა კორექტირებული კომპიუტერული საანაგრიშო მოდელები და მუშა ნახაზები. კომპიუტერულ საანგარიშო მოდელებში (სასრულ ელემენტთა მოდელებში) გადამოწმებულ იქნა სტატიკური და დინამიკური დატვირთვების მნიშვნელობები მათი შეხამებები და შედარებულ იქნა შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტაციასთან. შემოწმებულ იქნა მიღებული შედეგები და მთლიანად შენობების მოდელის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა.

კორექტირებული მუშა ნახაზები შესრულებულია მაღალ დონეზე შესაბამისი დეტალიზაციით და ითვალისწინებს კონსტრუქციულ ანგარიშში გათვალისწინებულ თავისებურებებს.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს ცალსახად დადებითი დასკვნა, რომ მთლიანად არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტილებათა საფუძველზე შედგენილი კომპიუტერული მოდელების გაანგარიშებათა შედეგები აკმაყოფილებს მდგრადობისა და სიმტკიცის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს კონსრტუქციული პროექტები აბსოლუტურად ვარგისია მშენებლობების განხორციელებისათვის.

შპს „ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ“-ის
მმართველი პარტნიორი/მთ. კონსტრუქტორი:

დავით გიგინეიშვილი
მაგისტრი მშენებლობაში
მშენებლობის ექსპერტი